წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი N 9
ქ. წალკა; 22.03.2017 წ.

10:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ხაჩატურიანი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ვანაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე სამსონ თამარიანი,ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარე რევაზ მაკარაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე ალექსი მუხსიევი, ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარე ედგარ ფურცელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუფტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ"

2. საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები და ვალდებულებები.

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნისიპალიტეტის გამგეობიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუფტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას უმოკლეს ვადაში სხდომაზე განიხილოს აღნიშული განკარგულების პროექტი და საკრებულოს რიგგარეშე სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ „სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის“ და „სოციალურ საკითხთა“ კომისიებს ბიუროს მიერ დავალებული ქონდათ კომისიის სხდომაზე განეხილათ საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები და ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარეებმა მელიტონ პაკელიანმა და ნოდარ ვანაძემ ბიუროს მოახსენეს, რომ კომისიებს ესაჭიროებათ ვადის გაგრძელება ნორმატიული აქტების პროექტების შესამუშავებლად. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოთ საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის“ და „სოციალურ საკითხთა“ კომისიების არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 სექტემბრისა წარმოადგინონ საქართველოს კანონით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ გათვალისწინებული ნორმატიული აქტების პროექტები საკრებულოს აპარატში.

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. რის შემდეგაც სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მელიტონ პაკელიანმა ბიუროს გააცნო საკრებულოს „სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის“ და „ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების“ კომისიების დასკვნები. მან ბიუროს

მოახსენა რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისიები აძლევენ დადებით რეკომენდაციას და მიაჩნიათ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. რის შემდეგაც სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მელიტონ პაკელიანმა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეგ ნოდარ ვანაძემ ბიუროს მოახსენეს, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისიები აძლევენ დადებით რეკომენდაციას და მიაჩნიათ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **23** მარტის **№9** ბიუროს სხდომის რეგისტრაციის ფურცელი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	ირაკლი გიგინეიშვილი	
2	გოჩა ხაჩატურიან	
3	სამსონ თამარიან	
4	ნუგზარი ჩამურლიევი	
5	სტეფან ეგოიან	
6	ნოდარ ვანაძე	
7	მელიტონ პაკელიანი	
8	დავით მაჩიტიძე	
9	ჯემალ ვანაძე	
10	ამირან საგინაძე	
11	ალექსი მუხსიევი	
12	ჯემალი ბერიძე	
13	ედგარ ფურცელაძე	
14	რევაზ მაკარაძე	